№2461 2014 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო აპარატურის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 სექტემბრის №532 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობის დადგენის, შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის, საუნივერსიტეტო კლინიკის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქონების გაცვლაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 6 სექტემბრის №1037-Iს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაუქმდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო აპარატურის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 სექტემბრის №532 განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საპრივატიზებო პირობა.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“ (ს/კ - №211385767) გათავისუფლდეს 2007 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „ნეიროქირურგიის ცენტრს“ (ამჟამად: შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“) შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 4.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრს, საუნივერსიტეტო კლინიკას“ საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, წინანდლის ქ. №9-ში მდებარე 108 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (ფართით 91.42 კვ.მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - №01.17.13.001.112) და ქ. თბილისში, წინანდლის ქ. №9-ში მდებარე 192 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - №01.17.13.001.332) შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის, საუნივერსიტეტო კლინიკის“ საკუთრებაში არსებული, TERAGAM-ის Co 60 აპარატისა და ფირმა Eckert-Ziegler-ის BEBIG-Multisorce HDR Afterloader აპარატის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, იმ პირობით, რომ შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“ უარს იტყვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს 2014 წლის 02 დეკემბრის №006613914 და 2014 წლის 31 მარტის №001583714 ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილი სახელმწიფოსა და შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის, საუნივერსიტეტო კლინიკის“ საკუთრებაში არსებული ქონებების საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობის - 432 157.8 (ოთხას ოცდათორმეტი ათას ას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

4. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს მას შემდეგ, რაც ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრს, საუნივერსიტეტო კლინიკასა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**